ერთი გოლის მარაგით

სსრ კავშირის თასზე

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი. 2 აპრილი.

”დინამო” (თბილისი) – ”ფახთაქორი” (ტაშკენტი) 1:0 (0:0).

”დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ქორიძე, მუჯირი, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ჩელებაძე (დურდიაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

”ფახთაქორი”: ჩეჩეტინი, სეროსტანოვი, აგიშევი, ბასოვი, ზაგუმენიხი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, კურნევი, ფიოდოროვი, ბოკანოვი.

მსაჯი: ა. შევჩუკი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია ვ. ქორიძე.

თასის პირველი მერვედფინალური მატჩის დასაწყისი ბევრ საინტერესოს და საიმედოს უქადდა ”დინამოს” გულშემატკივრებს. თბილისელებმა ცოცხლად, მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში. უკვე პირველივე წუთებზე სტუმრების კართან ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტები კოპალეიშვილმა, ჩელებაძემ, შენგელიამ. მართალია, საპასუხო შეტევის განხორციელებას ”ფახთაქორიც” შეეცადა, მაგრამ ინიციატივა მატჩის დებიუტში მთლიანად მასპინძლებს ეპყრათ. ასეთ ვითარებაში საფიქრებელი იყო, რომ დინამოელები იოლად არ გაუშვებდნენ თამაშის სადავეებს ხელიდან და გამუდმებული იერიშებით ლოგიკურ შედეგამდე - გოლის გატანამდე მიიყვანდნენ კარგად დაწყებულ საქმეს.

მაგრამ მოხდა პირიქით. რაც დრო გადიოდა, დინამოელთა შეტევა სულ უფრო სუსტდებოდა. თავი იჩინა ტექნიკურმა წუნმაც - ჯერ ერთმა დაკარგა ბურთი, მერე მეორემ არაზუსტად შეასრულა გადაწოდება, ამას მოჰყვა ტემპის შენელება, ბურთის ყოვლად გაუმართლებელი, ზედმეტი და უსარგებლო ტარება, გაუბედაობა გადამწყვეტ მომენტებში და უკვე 10-12 წუთის მერე გუნდმა თითქმის მთლიანად დაკარგა უპირატესობა. ტაშკენტელებს საშუალება მიეცათ შუა მინდორში გადაეტანათ თამაში, სადაც მათი მეტოქე კიდევ უფრო აყოვნებდა, კარგავდა ძვირფას დროს კარის ნამდვილი შტურმის ნაცვლად.

გამონაკლისს არც მეორე ტაიმი წარმოადგენდა, თუმცა გუნდმა იგი შედარებით უფრო სწრაფად და მონდომებით ჩაატარა. ამასთან სახიფათო მომენტებიც გაცილებით უფრო მეტი შექმნა (ბურთები ძელს მოახვედრეს შენგელიამ, გუცაევმა. დაიკარგა გოლის გატანის სხვა შესაძლებლობანიც). რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო თბილისის ”დინამოს” აკლია ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რომელთა არყოფნა, ბუნებრივია, მნიშვნელოვან დაღს ამჩნევს გუნდის ძალას, მაგრამ ის, ვინც მინდორზეა, ვალდებულია თამაშობდეს ტაქტიკურად სწორად, გამართულად და მაქსიმალური წვლილი შეიტანოს კოლექტივის წარმატებაში.

გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც, რაც ჩვენი აზრით, სრულიადაც არ არის მეორეხარისხოვანი საქმე: განვლილ მატჩში მსაჯმა გაფრთხილება მისცა ვ. ქორიძეს, რომელმაც წესები დაარღვია ისეთ ვითარებაში, როცა საამისოდ სიტუაცია სრულიადაც არ იყო შექმნილი. ასე ტყუილუბრალოდ, დაუდევრობის გამო ღებულობენ ჩვენი მოთამაშეები გაფრთხილებებს, სეზონის დასასრულისთვის კი მათი რაოდენობა ისე გროვდება, რომ თბილისის ”დინამო” ბოლო წლების მანძილზე

”იმსახურებს” ერთ-ერთ ყველაზე უდისციპლინო გუნდის ერთობ არასახარბიელო პრესტიჟს.

ახლა, ტაშკენთში 16 აპრილის საპასუხო მატჩისთვის, დინამოელებს მხოლოდ მინიმალური უპირატესობა აქვთ და ერთი ბურთის იმედით არიან დარჩენილი. ეს გოლი საკმაოდ ეფექტურად იქნა გატანილი, 62-ე წუთზე გუცაევის სწრაფი ფლანგური გარღვევის, ზუსტი მოწოდებისა და ჩელებაძის თავური დარტყმის შედეგად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დინამოელები სრული სერიოზულობით გაუკეთებენ ანალიზს განვლილი მატჩის ხარვეზებს, გამოასწორებენ მათ და მთელი სიძლიერით ჩაატარებენ ჩემპიონატისა და თასის მომავალ საპასუხისმგებლო მატჩებს.

ბ. ქორიძე.
4 აპრილი, 1978 წ.